ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47. 47223134**
თარიღი:**09/11/2022**

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის - ლაშა თოლორდავას ანგარიში, 2021 წლის დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობის ამომრჩევლებთან (მოსახლეობასთან) შეხვედრის სხდომის**

**ოქმი**

**შეხვედრის ჩატარების თარიღი: 7 ნოემბერი 2022 წელი.**

**შეხვედრის ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - ერკეთის ადმინისტრაციული ერთული.**

შეხვედრას თვმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ირაკლი კუჭავა.

**შეხვედრას ესწრებოდნენ:**

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდმარე - ლაშა თოლორდავა;

მერის წარმომადგენელი ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - სერგო კობიძე;

საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები;

არასამთავრობო ორგანიზაცია - გურიის სამოქალაქო ცენტრის წარმომადგენელი - თამთა ცინცაძე;

ამომრჩევლები.

საკრებულოს წევრმა, ლაშა თოლორდავამ, აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე და საკრებულოს რეგლამენტის 124-ე მუხლის შესაბამისად, მიმდინარეობს მეტად საპასუხისმგებლო ეტაპი, რომელიც მათ მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანაგრიშის ჩატარებას ითვალისწინებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დამსწრეთ წარედგინა ანგარიში 2021 წლის დეკემბრიდან დღემდე გაწეული საქმიანობის შესახებ. მან ისაუბრა ამომრჩეველთა პრობლემეური საკითხების მიზნით გაწეულ საქმიანობაზე და ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ პროექტებზე. მან აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში შეხვედრები ქონდა ამომრჩვლებთან (მოქალაქეებთან). მათი ძირითადი მოთხოვნა სოციალურ პრობლემებს და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ეხებოდა. არაერთ მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა მედიკამენტების შეძენისა თუ სამკურნალო საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის შესაბამისად.

უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობდა 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის პროცესში, ჩართული იყო მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დახმარების გაცემის წესის შემუშავებაში, მერის წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად იღებდა მონაწილეობას სოფლის პროგრამით გათვალისწინებული

პროექტების განსახორციელებაში (ანგარიში თან ერთვის).

ამომრჩეველთა მიერ ყურადღება გამახვილდა რამდენიმე პრობლემაზე, კერძოდ: კოხის ერთ-ერთ უბანში (ე.წ. მეგრელიძეების უბანი) გზა არის მნიშვნელოვნად დაზიანებული და საჭიროებს რეაბილიტაციას;

- ერკეთის საჯარო სკოლის მიმდებარედ, ხანგრძლივი წვიმების შედეგად, სანიღვრე არხების გაუწმენდაობის გამო იტბორება საბავშვო ბაღისა და მოქალაქეთა საკარმიდამო ეზოები;

- ერკეთში, ონჭიქედის მიმართულებით, გზის დაზიანების გამო, განსაკუთრებით უამინდობისას, სკოლის მოსწავლეებს შეზღუდული აქვთ ტრანსპორტით მომსახურების შესაძლებლობა. როგორც უბნის მცხოვრებმა აღნიშნა, განსაკუთრებით დაზიანებულია გზის მონაკვეთი 300 მ-ის მანძილზე;

- აღინიშნა, რომ ექსპლოატაციის ვადის გასვლის გამო, სოფლის საექიმო ამბულატორია საჭიროებს რეაბილიტაციას;

მოსახლეობამ ერთსულოვნად გამოხატა მხარდაჭერა და სურვილი, ერკეთის ცენტრში პარკის მოწყობასთან დაკავშირებით.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დადებითად.

ლაშა თოლორდავამ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს, საანგარიშო პერიოდში თანადგომისთვის და აღნიშნა, რომ არა მათი ჩართულობა არ მიიღწეოდა სასურველი შედეგი, მანვე მადლობა გადაუხადა მოსახლეობას თანადგომისათვის და შეპირდა მათ, რომ შეძლებისდაგვარად დაეხმარება ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში.

სხდომის თვმჯდომარე

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი